

**„შპს „მობიტელისათვის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კომისიის
2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და რადიოსიხშირული სპექტრით
სარგებლობის №F97 ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში „კომისია“) განცხადებით მიმართა შპს „მობიტელმა“ (კომისიაში რეგისტრაციის №6/7887-16, 03/08/16) და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზიის მოდიფიცირება. კომპანიას სურს ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომის თავიდან ასაცილებლად №F97 ლიცენზიის ერთ-ერთი სალიცენზიო ვალდებულება კერძოდ კი კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე.გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს იგივე რედაქციით, როგორც იყო ჩამოყალიბებული კომისიის 2016 წლის 17 მარტის №185/8 გადაწყვეტილებაში „მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ“. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით გამოცხადებულ ერთ-ერთ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მაგთიკომი“, რომელზეც გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია. შპს „მობიტელი“ ასევე აღნიშნავს, რომ ახალი რედაქცია არის ევროპული სტანდარტების შესაბამისი.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მობიტელი“ კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილების შესაბამისად ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 806 -816 მჰც და 847 -857 მჰც (სულ 20 (2x 10) მჰც);

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 1 თებერვლიდან - 2030 წლის 1 თებერვლამდე;

დ) ტექნიკური პირობები:

დ.ა) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:

დ.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ექვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 64 დბმ/5 მჰც.

დ.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
FDD აფლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეები (832 მჰც-დან 862 მჰც-მდე)	-49.5 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის (791 მჰც-დან 821 მჰც-მდე)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი დანარჩენი სიხშირეებისათვის	11 დბმ	1 მჰც

დ.ა.დ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე), რომლებიც გამოყენებულია, როგორც დამცავი ზოლი (guard band)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
790 მჰც-დან 791 მჰც-მდე	17.4 დბმ	1 მჰც
821 მჰც-დან 832 მჰც-მდე	15 დბმ	1 მჰც

დ.ა.ე) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები 790 მპვ-ს ქვემოთ მდებარე სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	პირობა EIRP-ზე საბაზო სადგურის ბლოკის შიგნით, P დბმ/10მპვ	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
470 მპვ-დან 790 მპვ-მდე	$P \geq 59$	0 დბმ	8 მპვ
	$36 \leq P$	(P-59) დბმ	8 მპვ
	P	-23 დბმ	8 მპვ

დ.ბ) ტექნიკური პირობები FDD ტერმინალური სადგურებისათვის: ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 23 დბმ.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსის ამავე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობებისა და კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად, მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად გამოყენება;

ე.ბ) უზრუნველყოს მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) საქართველოს იმ დასახლებული პუნქტებისათვის (მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა), სადაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის და შემდგომში – უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, შემდეგი პირობებით:

უზრუნველყოს მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა დასახლებული პუნქტების რაოდენობის მინიმუმ:		
1.	30%-ში	2016 წლის 1 თებერვლამდე
2.	50%-ში	2017 წლის 1 თებერვლამდე
3.	70% -ში	2018 წლის 1 თებერვლამდე
4.	90%-ში	2020 წლის 1 თებერვლამდე

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის;

ე.გ) უზრუნველყოს სტაბილურად ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდება, კერძოდ, არა პიკის საათებში (როცა ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვა 60%-ზე ნაკლებია), წყვეტის გარეშე, ფიჭის საზღვარზე (Cell edge) მინიმუმ 2 მბტ/წმ „დაუნლინკ“ მომსახურების მიწოდების სიჩქარე, გაზომვების 95%-ის შემთხვევაში;

ე.დ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა ტერიტორიაზე რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

ე.ე) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

ე.ვ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

ე.ზ) 827.955-831.645 მპვ და 872.955- 876.645 მპვ რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის ხელშეშლების შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამგვარი ხელშეშლების აღმოფხვრა;

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 1 სექტემბრის №611/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „შპს „მობიტელისათვის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზიის მოდიფიცირების მიზნით.

ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 29 სექტემბერი 16:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღე.

კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (№10/8544-16, 17.08.2016) თანახმად დეპარტამენტის წინადადება განხორციელდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზიის მოდიფიცირება და კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ე.გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.გ) წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში უზრუნველყოს სპექტრალური ეფექტურობა (გაზომილი ერთეულებში - ბიტი/წმ/ჰერცი და ბიტი/წმ/ჰერცი/ფიჰა) ETSI TR 136 912 V.13.0.0 (2016-01) და TR 136 913 V.13.0.0 (2016-01) ტექნიკურ დოკუმენტებში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი მომსახურებას მიაწოდებს LTE ტექნოლოგიის გამოყენებით.

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის; „

ხოლო ამავე გადაწყვეტილების ე.ბ) ქვეპუნქტიდან „შენიშვნა“ (შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის) ამოღებულ იქნას.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს „მოზიტელის“ განცხადება დასაბუთებულია და მიზანშეწონილია კომპანიის განცხადების საფუძველზე განხორციელდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზიის მოდიფიცირება და კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-IX თავის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვეტა:

1. მოდიფიცირდეს შპს „მოზიტელის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების

ა) პირველი პუნქტის ე.გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.გ) წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში უზრუნველყოს სპექტრალური ეფექტურობა (გაზომილი ერთეულებში - ბიტი/წმ/ჰერცი და ბიტი/წმ/ჰერცი/ფიჰა) ETSI TR 136 912 V.13.0.0 (2016-01) და TR 136 913 V.13.0.0 (2016-01) ტექნიკურ დოკუმენტებში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი მომსახურებას მიაწოდებს LTE ტექნოლოგიის გამოყენებით.

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის; „

ბ) პირველი პუნქტის ე.ბ) ქვეპუნქტიდან „შენიშვნა“ (შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის) ამოღებულ იქნას;

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (ნ.ლორთქიფანიძე);

ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა (ნ. ლორთქიფანიძე);

გ) ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქაღივილი);

დ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „მოზიტელისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ს. შავგულიძე).

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

ელისო ასანიძე

გიორგი ფრუიძე

მერაბ ქათამაძე